



საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ამოქმედება!
Support of Water Policy Reforms towards Integrated Water Resources Management
წყლის პოლიტიკის რეფორმის მხარდაჭერა წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვისთვის

Information Update/ March 2018

ინფორმაციის განახლება / მარტი 2018

EUWI+ project progress

პროექტის „ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლიუსი“
(EUWI+) განხორციელების მიმდინარეობის პროგრესი

An extensive on-site assessment of existing laboratory and monitoring system infrastructure and capacities was conducted in Georgia with the support of EUWI+ Project experts in close cooperation with the countries' administrations and experts from the concerned institutions.

Read more:

This work has resulted in two assessment reports, which summarise the current state of knowledge on the existing water monitoring and quality management systems, as well as the needs for technical equipment of the laboratories and trainings for staff. These reports also link to the rehabilitation and/or procurement and installation of monitoring and laboratory equipment. These reports serve as the basis for upgrading the monitoring and laboratory system and aligning it with WFD requirements. They inform the procurement of equipment, including hydrological, hydrogeological and water quality monitoring stations, and the rehabilitation and upgrade of existing equipment and existing laboratories. They also provide a basis for trainings and further technical support for laboratory accreditation, which is planned in the framework of the project.

The preparation of River Basin Management Plan for Alazani/Iori is now entering a new phase, after the initial meetings with Local stakeholders in 2017, the terms of reference for hiring local contractors supporting the data collection and River Basin Management Plan preparation has been published. After the selection and contracting period, the works are supposed to start in May 2018.

The final version of the “Analyses on Harmonisation of the Georgian Draft Water Law with Other Related Legislative Acts” was submitted to the Ministry of Environment and Natural Resources Protection of Georgia in November 2017.

Read more:

This document has been prepared by an international legal expert for the Result 1 to support implementation of the country priority “Legal review of harmonisation of new draft Law on Water

EUWI+ პროექტის ექსპერტების მხარდაჭერით და ქვეყნების მთავრობებთან და შესაბამისი ინსტიტუციების ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით საქართველოში ჩატარდა არსებული ლაბორატორიის და მონიტორინგის სისტემის ინფრასტრუქტურისა და შესაძლებლობების სიღრმისეული შეფასება.

წაკითხეთ მეტი:

აღნიშნული სამუშაო აისახა ორ შეფასებით ანგარიშში, რომლებშიც აღწერილია არსებული წყლის მონიტორინგის და ხარისხის მართვის სისტემების მიმდინარე მდგომარეობა, ასევე ლაბორატორიის ტექნიკური აღჭურვილობის და პერსონალის ტრენინგის საჭიროებები. აღნიშნული ანგარიშები ასევე მოიცავს მონიტორინგის და ლაბორატორიის აღჭურვილობის რეაბილიტაციის და/ან შესყიდვის და ინსტალაციის საკითხებს. აღნიშნული ანგარიშების საფუძველზე განხორციელდება მონიტორინგის და ლაბორატორიის სიტემის მოდერნიზაცია და მისი წყლის ჩარჩო დირექტივასთან (WFD) შესაბამისობაში მოყვანა. ამ ანგარიშებში მოცემულია ინფორმაცია აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ, მათ შორის ჰიდროლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და წყლის ხარისხის მონიტორინგის სადგურების, ასევე არსებული აღჭურვილობის და ლაბორატორიების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის შესახებ. გარდა ამისა, აღნიშნული ანგარიშები უზრუნველყოფენ პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგების და ლაბორატორიის აკრედიტაციის ტექნიკური მხარდაჭერის საფუძველს.

ალაზანი/იორის მდინარეთა აუზების მართვის გეგმის მომზადება ახალ ფაზაში შედის, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან 2017 წელს ჩატარებული პირველი შეხვედრის შემდეგ გამოქვეყნდა მონაცემთა შეგროვებაში ჩართული ადგილობრივი კონტრაქტორების დაქირავების პირობები და მდინარეთა აუზების მართვის გეგმის მომზადების შესახებ ინფორმაცია. სავარაუდოდ, სამუშაოები დაიწყება 2018 წლის მაისში, შერჩევისა და მოლაპარაკებების პერიოდის დასრულების შემდგომ.

2017 წლის ნოემბერში „საქართველოს წყლის შესახებ კანონპროექტის სხვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებთან ჰარმონიზაციის ანალიზის“ საბოლოო ვარიანტი წარედგინა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

წაკითხეთ მეტი:

აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა საერთაშორისო იურისტის მიერ 1-ლი შედეგისთვის, ქვეყნის პრიორიტეტული პროექტის



Resources Management to EIA Code of Georgia, Draft Law on Environmental Liability and IPPC Directive”.

Drafting a **policy paper providing a vision for further policy developments in preparing the National Water Strategy of Georgia** to support implementation of the country priority “Develop the National Water Strategy (NWS) has started.

The policy paper will cover two main areas: 1) review and analysis of water related sectoral policies currently undertaken by the Government of Georgia, and 2) identification of prerequisites for the water reform and key focus areas of the future national water strategy in Georgia.

A **regional Workshop on laboratory basics and fundamentals of ISO certification** was held in Tbilisi on 12-13 December 2017.

The workshop aimed at harmonising and improving knowledge on fundamentals (principles and terminology) of quality management in laboratories and accreditation requirements (on the basis of ISO 17025). The workshop has been designed as regional workshop with above 20 participants from three Caucasus countries and trainers tried to foster collaboration between the countries. It addressed in particular laboratory practitioners responsible for operating instruments to help them introducing and managing QA principles and practices in their daily work.

A **Workshop on Delineation of Transitional and Coastal Water Bodies in the Pilot Area of the Black Sea Coast** was held in Batumi on 19-20 December, 2017.

The workshop aimed at harmonizing and improving knowledge of the WFD and MSFD principles, as well as various Biological Quality Elements and other reference/technical requirements for delineation of transitional and coastal water bodies; lessons learned from the MSFD based EMBLAS project and first attempts of the coastal delineation, as well as stakeholders discussion in the process of identification of all types of coastal and transitional waters appearing in Georgia. The workshop has gathered about 20 participants from the Fisheries and Black Sea Monitoring Department of NEA, NEA's Central Office and Batumi Laboratory of NEA. Few participants from Azerbaijan also attended the workshop as observers, in term of gain Georgian experience for the similar activities in Azerbaijan in the nearest future.

განხორციელების მხარდასაჭერად - „საქართველოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ კანონთან (EIA), გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონპროექტთან და მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენციის (IPPC) დირექტივასთან წყლის რესურსების მართვის შესახებ ახალი კანონპროექტის ჰარმონიზაციის სამართლებრივი განხილვა“.

დაიწყო სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს წყლის ეროვნული სტრატეგიის მომზადებას ქვეყნის პრიორიტეტული პროექტის „წყლის ეროვნული სტრატეგიის განვითარება“ (NWS) მხარდაჭერის მიზნით.

აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტი მოიცავს ორ ძირითად სფეროს: 1) საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული წყალთან დაკავშირებული სექტორული პოლიტიკის განხილვა და ანალიზი, და 2) წყლის რეფორმისთვის საჭირო წინაპირობების და საქართველოში წყლის ეროვნული სტრატეგიის ძირითადი სფეროების დადგენა.

2017 წლის 12-13 დეკემბერს თბილისში გაიმართა **რეგიონული სემინარი ლაბორატორიისთვის ISO სერტიფიკატის** მინიჭების საფუძვლებისა და ძირითადი პრინციპების თაობაზე.

სემინარი მიზნად ისახავდა ლაბორატორიებში ხარისხის მართვის საფუძვლების (პრინციპების და ტერმინოლოგიის) და აკრედიტაციის მოთხოვნების (ISO 17025 საფუძველზე) შესახებ ცოდნის ჰარმონიზაციას და გაუმჯობესებას. რეგიონულ სემინარში მონაწილეობა მიიღეს კავკასიის სამი ქვეყნის 20-მა წარმომადგენელმა, ტრენერები ეცადნენ ქვეყნებს შორის თანამშრომლობისთვის შეეწყოთ ხელი. კერძოდ, სემინარი ჩაუტარდა ლაბორატორიის ინსტრუმენტების მართვაზე პასუხისმგებელ სპეციალისტებს, რათა მათ შეძლონ ხარისხის კონტროლის (QA) პრინციპების დანერგვა და მართვა თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში.

2017 წლის 19-20 დეკემბერს ბათუმში ჩატარდა **სემინარი შავი ზღვის სანაპიროს საპილოტე ზონაში გარდამავალი და სანაპირო წყლის ობიექტების საზღვრების დადგენის** თაობაზე.

სემინარი მიზნად ისახავდა წყლის ჩარჩო დირექტივისა (WFD) და საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივის (MSFD) პრინციპების, ისევე როგორც გარდამავალი და სანაპირო წყლის ობიექტების განსაზღვრის ბიოლოგიური ელემენტებისა და ტექნიკური მოთხოვნების შესახებ ცოდნის ჰარმონიზაციასა და ამაღლებას; MSFD-ზე დაფუძნებული შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის პროექტიდან მიღებული გამოცდილება და სანაპირო საზღვრების დადგენის პირველი მცდელობა, ასევე საქართველოში არსებული სანაპირო და გარდამავალი ყველა ტიპის წყლის ობიექტების დადგენის პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა. სემინარს დაესწრო 20 მონაწილე გარემოს ეროვნული სააგენტოს (NEA) მეთევზეობისა და შავი ზღვის მონიტორინგის დეპარტამენტიდან, გარემოს ეროვნული სააგენტოს ცენტრალური ოფისიდან და გარემოს ეროვნული სააგენტოს ბათუმის ლაბორატორიიდან. დამკვირვებლის სტატუსით სემინარს ესწრებოდა რამდენიმე მონაწილე აზერბაიჯანიდან, რათა გამოეყენებინათ საქართველოში მიღებული გამოცდილება თავიანთ ქვეყანაში.

Recent developments

ბოლო მოვლენები

As a result of the recent restructuring plan of the Government of Georgia, according to the Amendment to the 'Law on Structure, Authorisation and Rule of Activities of the Government of Georgia', environmental and agriculture ministries have merged in a new institution called: **Ministry of Environment Protection and Agriculture of Georgia** (N1620 RS, December 07, 2017). The management function (licensing) and mandate for the use of natural and mineral resources is now located in the Ministry of Economy and Sustainable Development. Within the next 3 months the new Ministry will have to (re)define structure and functions (merging, regrouping, or cancelation) of the subsidiary bodies including the agencies and institutions.

EUWI+East assists Azerbaijan and Georgia to make another step towards sustainable management of the Kura River Basin: Azerbaijan-Georgia bilateral negotiations on the Kura-Aras agreement took place on 5th October in Tbilisi with UNECE support

Read more:

The negotiation process on a bilateral water agreement between Georgia and Azerbaijan started in 2004 with the help of ENVSEC and subsequently with the UNECE support. The draft agreement provides a framework for cooperation between the two countries on water pollution prevention and control, conservation of biodiversity, emergency situations, data and information sharing and public participation.

A thematic workshop on the implementation of the water component of the ENI SEIS II East project in Georgia was held on 6-7 November 2017. The workshop aimed at aligning understanding on developing the national portal of water information and implementation of regionally comparable indicators of the ENI SEIS II project. The workshop gathered key water experts and data management personnel from government institutions.

Facilitating the Reform of Economic Instruments for Water Management in Georgia

This OECD-led study assesses the use of economic instruments for water resources management in Georgia and considers options for reform following the EU-Georgia Association Agreement committing to alignment with the EU's Water Framework Directive.

Read more:

Three main economic instruments are recommended in this

საქართველოს მთავრობის ბოლოდროინდელი რესტრუქტურის გეგმის შედეგად, რომელიც განხორციელდა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონში“ ცვლილების თანახმად, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროები გაერთიანდნენ ახალ ინსტიტუტში, რომელსაც ეწოდა: **საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო** (N1620 RS, 7 დეკემბერი, 2017). ბუნებრივი და მინერალური რესურსების მართვის ფუნქცია (ლიცენზირება) და სარგებლობის უფლებამოსილება გადაეცა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. 3 თვის განმავლობაში ახალმა სამინისტრომ უნდა (ხელახლა) განსაზღვროს დამხმარე ორგანოების სტრუქტურა და ფუნქციები (გაერთიანება, გადაჯგუფება ან გაუქმება), მათ შორის სააგენტოების და ინსტიტუტების.

ევროკავშირის წყლის ინიციატივა + აღმოსავლეთი (EUWI+East) ეხმარება აზერბაიჯანსა და საქართველოს შემდგომი ნაბიჯის გადადგმაში მდინარე მტკვრის აუზის მდგრადი მართვის მიმართულებით: გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) მხარდაჭერით, 5 ოქტომბერს თბილისში შედგა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ორმხრივი მოლაპარაკებები მტკვარი-არასის შესახებ ხელშეკრულების თაობაზე.

წაკითხეთ მეტი:

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მოლაპარაკების პროცესი წყლის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულების თაობაზე დაიწყო 2004 წელს ENVSEC-ის, შემდგომში კი UNECE-ის მხარდაჭერით. ხელშეკრულების პროექტი უზრუნველყოფს ორი ქვეყნის თანამშრომლობის ჩარჩოს შემდეგ საკითხებში: წყლის დაბინძურების პრევენცია და კონტროლი, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, საგანგებო მდგომარეობა, მონაცემების და ინფორმაციის გაზიარება და საზოგადოების მონაწილეობა.

2017 წლის 6-7 ნოემბერს ჩატარდა თემატური სემინარი ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის მიერ დაფინანსებული ერთიანი გარემოსდაცვითი საინფორმაციო სისტემის აღმოსავლეთ პარტნიორობის (ENI SEIS II East) პროექტის წყლის კომპონენტის საქართველოში განხორციელების თაობაზე. სემინარის მიზანი იყო შეთანხმება წყლის შესახებ ეროვნული საინფორმაციო პორტალის შექმნისა და ENI SEIS II East პროექტის რეგიონული მაჩვენებლების გამოყენების თაობაზე. სემინარს დაესწრნენ წყლის სფეროს წამყვანი ექსპერტები და მონაცემთა მართვის სპეციალისტები სამთავრობო ორგანიზაციებიდან.

საქართველოში წყლის მართვის ეკონომიკური ინსტრუმენტების რეფორმის ხელშეწყობა

ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ ჩატარებულ კვლევაში მოცემულია საქართველოში წყლის რესურსების მართვის ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენების შეფასება, ასევე განხილულია ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების შემდგომ გასატარებელი რეფორმის ვარიანტები, ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის



study: 1) the introduction of a licensing regime and charges for both surface water and groundwater abstraction, 2) the restoration of a licensing and charging regime for all forms of water pollution, and 3) more rigorous enforcement of these measures, including more active monitoring and higher fines for offenders. Implementing these measures will be greatly facilitated by the enactment of the new Water Law now being examined by the government of Georgia. (Available from 15 March 2018)

შესაბამისად.

წაკითხეთ მეტი:

აღნიშნულ კვლევაში მოცემულია სამი ძირითადი ეკონომიკური ინსტრუმენტის შესახებ რეკომენდაცია: 1) ლიცენზირების რეჟიმის შემოღება და გადასახადის დაკისრება როგორც ზედაპირული, ისე მიწისქვეშა წყლის ამოღებისთვის, 2) ყველა ფორმის წყლის დაბინძურებისთვის ლიცენზირების და გადასახადის დაკისრების რეჟიმის აღდგენა, და 3) უფრო მკაცრი ზომების გატარება, მათ შორის უფრო აქტიური მონიტორინგი და კანონდამრღვევისთვის უფრო მაღალი ჯარიმის დაკისრება. აღნიშნული ზომების გატარებას ხელს შეუწყობს საქართველოს მთავრობის მიერ წყლის შესახებ ახალი კანონის ამოქმედება (ძალაში შედის 2018 წლის 15 მარტიდან).

National Dialogue on Water Policy in Georgia

ეროვნული პოლიტიკური დიალოგი საქართველოში წყლის რესურსების მართვის შესახებ

Under the EUWI+ project, the National Dialogue on Water Policy in Georgia focuses on four major topics: establishment of the legal framework for water management based on the EU Water Framework Directive principles; IWRM financing; setting up the targets for implementation of the UNECE/ WHO Protocol on Water and Health; and transboundary water cooperation activities in particular, preparing a transboundary water agreement with neighbouring Azerbaijan. The NPD Steering Committee is also used as oversight body to discuss plans and progress of the EUWI+ project in the country.

Read more:

The National Dialogue on Water Policy (former National Policy Dialogue - NPD) is actively developing in Georgia after the signing of a memorandum of understanding in October 2011 between the Georgian Ministry of Environment Protection and UNECE. The NPD Steering Committee has been successfully operating as platform where key national stakeholders meet regularly to discuss and advance policy reforms. The NPD Steering Committee is also used as oversight body to discuss plans and progress of the EUWI+ project in the country. The 5th Steering Committee meeting of the National Policy Dialogue on water took place on 11 April 2017 in Tbilisi.

Information about meetings under NPD in Georgia is available at http://www.unece.org/env/water/npd_meetings

EUWI+ პროექტის ფარგლებში, ეროვნული პოლიტიკური დიალოგი საქართველოში წყლის რესურსების მართვის შესახებ მიმართულია ოთხ ძირითად თემაზე: წყლის რესურსების მართვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის პრინციპების საფუძველზე; წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის (IWRM) დაფინანსება; ამოცანების დასახვა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის / ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (UNECE / WHO) ოქმის „წყალი და ჯანმრთელობა“ განსახორციელებლად; თანამშრომლობა ტრანსსასაზღვრო წყლებთან დაკავშირებით, კერძოდ, ტრანსსასაზღვრო წყლის შესახებ მეზობელ აზერბაიჯანთან ხელშეკრულების მომზადება. ეროვნული პოლიტიკური დიალოგის (NPD) მმართველი კომიტეტი ასევე ასრულებს დამკვირვებლის ფუნქციას ქვეყანაში EUWI+ პროექტის გეგმებისა და მიმდინარეობის განხილვისას.

წაკითხეთ მეტი:

ეროვნული პოლიტიკური დიალოგი წყლის რესურსების მართვის შესახებ (ყოფილი ეროვნული პოლიტიკური დიალოგი NPD) აქტიურად ვითარდება საქართველოში იმის შემდეგ, რაც 2011 წლის ოქტომბერში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და გაეროს ევროპის ეკონომიკურ კომისიას (UNECE) შორის. ეროვნული პოლიტიკური დიალოგის მმართველი კომიტეტი წარმატებით ასრულებდა პლატფორმის ფუნქციას, სადაც რეგულარულად იკრიბებოდნენ ძირითადი დაინტერესებული მხარეები რათა განეხილათ და ხელი შეეწყოთ რეფორმების გატარებაში. ეროვნული პოლიტიკური დიალოგის მმართველი კომიტეტი ასევე ასრულებს დამკვირვებლის როლს ქვეყანაში EUWI+ პროექტის გეგმებისა და მიმდინარეობის განხილვისას. წყლის რესურსების მართვის შესახებ ეროვნული პოლიტიკური დიალოგის მმართველი კომიტეტის მე-5 სხდომა გაიმართა 2017 წლის 11 აპრილს თბილისში.

საქართველოში NDP-ს შეხვედრების შესახებ ინფორმაცია იხილეთ: http://www.unece.org/env/water/npd_meetings



The European Union Water Initiative Plus for Eastern Partnership Countries project (EUWI+4 EaP) addresses existing challenges in both development and implementation of efficient management of water resources management. It specifically supports the EaP countries (Armenia, Azerbaijan, Republic of Belarus, Georgia, Republic of Moldova, and Ukraine) to move towards the approximation to EU acquis in the field of water management in light of the EU Water Framework Directive (WFD) principles.

პროექტი „ევროკავშირის წყლის ინიციატივა პლიუსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის“ (EUWI+4 EaP) მიმართულია წყლის რესურსების ეფექტური მართვის განვითარების და გახორციელების მხრივ არსებული პრობლემების მოგვარებაზე. ის განსაკუთრებით მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს (სომხეთს, აზერბაიჯანს, ბელარუსის რესპუბლიკას, საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას) წყლის რესურსების მართვის სფეროში ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებაში, ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის პრინციპების შესაბამისად.

*This document has been prepared with the financial assistance of the European Commission.
The views expressed in this publication do not necessarily reflect the views of the European Commission.*

აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა ევროპის კომისიის ფინანსური მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ევროპის კომისიის მოსაზრებებს.